პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ორგანი ცკ კპ საქართველოს, უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

1975 ხუთშაბათი 13 მარტი № 60 (16186) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი განვლილი და მომავალი დღე სულ უფრო მეტად გვინერგავდეს რწმენასა და იმედს, რომ პარტიისათვის მიცემული სიტყვა წარმატებით სრულდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი საშეფო დახმარების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი აღმავლობა და სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინდუსტრიულ საფუძველზე საყოველთაო-სახალხო საქმეა, ფართოდ გაშალეს მუშაობა სოფლისადმი შეფობის სრულყოფისა და კონკრეტიზაციისათვის. ეს აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი საშეფო დახმარების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

განხილულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მხვეილმა სამრეწველო საწარმოებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელმა, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა, ინსტრუმენტალურმა ქარხნებმა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ, ამიერკავკასიის „ტრანსმაშენის“ და კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტების, „თბილისგვირაბმშენის“ სამართველოს, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომი მცხეთის რაიონისადმი შეფობისათვის. ორივე რაიონული კომიტეტის მიერ ოთხის ბერსპექტიული გეგმით გაითვალისწინეს საბჭოთა მეურნეობის საამქროთა კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის, ხარემონტო ბაზის აღჭურვისა და მოწყობილობის განახლების, ელექტრომომარაგების ღონისძიებათა კომპლექსი, აგრეთვე დიდი მოცულობის სხვა სამუშაოთა შესრულება. გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობისათვის ინსტრუმენტების, ჩარხების, მოწყობილობის გადაცემა, მექანიზატორთა კადრების მომზადება, ტექნიკური კონსულტაციები. გარდა ამისა ავიამშენებლები ხელს უწყობენ მთლიანად რესპუბლიკის სამრეწველო მეფრინველეობის განვითარებას: 1975 წელს შეფობის წესით ისინი მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის დაამზადებენ ბალიების მოწყობილობის 60 კომპლექტს.

წელს რესპუბლიკის მშენებლობისა და საავტომობილო გზების სამინისტროთა კოლექტივები ასრულებენ სასოფლო ობიექტების მშენებლობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საშეფო დახმარების დიდ პროგრამას. მშენებლობის სამინისტრო აშენებს და სასოფლო ორგანიზაციებს საექსპლოატაციოდ გადასცემს სულ ცოტა 13 საკვების დამამზადებელ საამქროს, აგრეთვე 22 ათას ტონა ტევადობის სასენაჟე ტრანშეებს, ხოლო საავტომობილო გზების სამინისტრო საკუთარი ძალებით შეიმუშავებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და ააგებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სადგომ 20 მოედანს.

კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტის კოლექტივი აწარმოებს სამუშაოებს სოფელ სიმონეთის კოლმეურნეობაში 2.000 კვადრატული მეტრი ფართობის თუთის სანერგე მეურნეობის გრუნტის გასათბობად, ხოლო წელს დამლევამდე მორწყავს ოერჰოლის რაიონის სოფელ კვახჩირის კოლმეურნეობის 100 ჰექტარ მიწებს.

რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტები ახორციელებენ საშეფო მუშაობის ფართო კომპლექსს „ომკავშირი — სოფელს“, რომელიც ძირითადად თვალისწინებს სოფლის სკოლისათვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის ეფექტიან დახმარებას.

სწორად წარმართავს თავის მუშაობას საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომი მცხეთის რაიონისადმი შეფობისათვის. ორივე რაიონული კომიტეტის მიერ ოთხის გაერთიანებულმა სხდომამ განსაზღვრა საშეფო ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებანი. ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა მარტო 1974 წელს მცხეთის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების დროს გამოიმუშავეს 26 ათასი კაცდღე. მატერიალური დახმარების — ბიბლიოთეკებისა და ლაბორატორიების, ავტოტრანსპორტის საშუალებებისა და აგრეგატების, გასათბობი მოწყობილობის გადაცემის, სატელეფონო ქსელისა და რადიოკვანძის დამონტაჟების გარდა, საშეფო გეგმები თვალისწინებენ მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ფართო ციკლს. ორჯონიკიძის რაიონის საწარმოო-დაწესებულებები და მცხეთის რაიონის მეურნეობები განაგრძობენ შეფობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დადების პრაქტიკას.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სოფლად საშეფო შუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ აფასებს სოფლისადმი ქალაქის შეფობის პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას. ბევრ შემთხვევაში საშეფო ღონისძიებანი კონკრეტული არ არის, რეგულარულად არ ხორციელდება, ფორმალური ხასიათისაა; არ ითვალისწინებენ საშეფო რაიონებისა და მეურნეობების სპეციფიკას და საჭიროებებს, არის შეფობის პრინციპების ისეთი დამახინჯებანი, როგორიცაა ფონდირებული მასალებისა და მოწყობილობის უკანონო გადაცემა, რაც ეწინააღმდეგება საშეფო ხელშეკრულებათა სულისკვეთებას.

საშეფო მუშაობა სოფლად განსაკუთრებით უნდა გაძლიერონ სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა, თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი გამოიყენონ სოფლის მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიის ცალკეული რაიონული და საქალაქო კომიტეტები ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან სოფლად საშეფო მუშაობის საკითხებს.

ხელმძღვანელობს რა იმით, რომ სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების, სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანის ამოცანა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზაფხიკაცის მთავარი სამმართველოს, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ამიერკავკასიის „ტრანსმაშენისა“ და კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტების, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძისა და საქართველო რაიკომების დადებითი მუშაობა საშეფო დახმარების გაძლიერებისა და „ქალაქი — სოფელს“ იმ ღონისძიებათა გრძელვადიანი კომპლექსური გეგმების შემუშავებისათვის, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს დაევალათ გაძლიერონ ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა ქალაქსა და სოფლის საშეფო ურთიერთობის განმტკიცებისათვის; გაითვალისწინონ საშეფო მუშაობის პერსპექტიული გეგმების შემუშავება; აღმზრდელობითი მუშაობა წარმართონ ისე, რომ თვითეულ კოლექტივს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა თავის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდეს.

პარტიის რაიონულ, საქალაქო და ხაოლქო კომიტეტებს დაევალათ განიხილონ „ქალაქი — სოფელს“ საშეფო მუშაობის საკითხები და ამ დარგში მოწინავე საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების გამოცდილება; პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა წარმართონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებაში, კადრების სწავლებასა და გადამზადებაში და სოფლის კეთილმოწყობაში ქალაქის საწარმოთა კოლექტივების ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის; განახორციელონ საშეფო ორგანიზაციათა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აქვს, დაევალათ უზრუნველყონ საშეფო ორგანიზაციები სამუშაოთა ფრონტით, აღმოფხვრან ყველა მიზეზი, რომლებიც ხელს უშლიან შეფების წარმატებულ საქმიანობას, მოაგვარონ მათთან ზუსტი ურთიერთკავშირი, რათა შეფობას მეტი ეფექტი ჰქონდეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს იმ სამშენებლო ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებიც საშეფო დახმარების წესით შენდება.

საშეფო ორგანიზაციებმა სოფლად სამშენებლო, საპროექტო, სამომარაგო და სხვა სამუშაოები უნდა განახორციელონ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაზოგვისა და ზეგეგმით წარმოების ხარჯზე: მასალების, მექანიზმების, ინსტრუმენტების, სატრანსპორტო ხარჯებისა და შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებას უნდა ახორციელებდნენ საშეფო ორგანიზაციები შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობიდან.

საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ სოფლად საშეფო მუშაობაში პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებანი.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ ფართო პროპაგანდა გაუწიონ სოფლად საშეფო მუშაობის კონკრეტულ დადებითს გამოცდილებას.

(საქინფორმი).

ხუთწლედის დამლევამდე

293 დღე დარჩა

თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს წლეულს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გეგმის გადამეტებით!

დამამთავრებელი წლის ქალენდარი

გაზაფხულის დღეები სოფლად

მექანიზატორები დაწინაურდნენ

ცხაკაია. (სკ. კორ.). ნიადაგი საკმარ ხანი გათბა. „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა გაერთიანებამ (მმართველი დ. დემენრია) ნაყოფიერი შრომა გასწია გაზაფხულისათვის ტექნიკის მომზადებისა და ქმიურ საშუალებათა მომარაგებისათვის. შემკეთებელმა სახელოსნომ 177 ათასი მანეთის ნაცვლად 183 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა. შეკეთებუნის ხარისხი კარგია. გაერთიანების ადგილებიდან არ მოსულია არცერთი პრეტენზია. მზად არის 20 ტრაქტორი, მოხნულია 4.780 ჰექტარი (რბილ ხვნაზე გადაყვანით), მექანიზატორებმა ამოძირკვის სამუშაოებიც დაასრულეს.

მხვნელ-მთესველები მიწდვრად გავიდნენ

გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს ნაყოფიერად იყენებენ რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით საქართველოში დათესილია 7.505 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 1.998 ჰექტარით მეტია. აქედან მარტო მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურებია — 778 ჰექტარი.

დღითიდღე აძლიერებენ თესვის ტემპს შემოსტნიები, რომლებმაც აღნიშნული სამუშაო შეასრულეს 3.062 ჰექტარზე. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დათესა 2.369 ჰექტარი მრავალწლიანი და 852 ჰექტარი ერთწლიანი ბალახები.

საგაზაფხულო კულტურები ყველაზე მეტი დათესილია წითელწყაროს რაიონში — 2.822 ჰექტარი, გარდაბნის რაიონში — 2.249 ჰექტარი, სამტრედიის — 814, საგარეჯოს — 568 ჰექტარი.

ეკონომიკა

დადგა გაზაფხული. მინდვრებსა და პლანტაციებში გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. შარშან გამარჯვებული მეჩაიეები წლეულს — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საფუძველს უყრიან უფრო უხვ მოსავალს. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებშია გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. აქ ჩაის მოლიანი მოსავლის 60 პროცენტს მანქანებით კრეფენ და საერთოდ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია 85 პროცენტს აღწევს.

მეურნეობის მეჩაიეებს ხუთწლედის დავალებით გათვალისწინებული 8.780 ტონიდან მოკრეფილი აქვთ 7.791 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და გადაწყვეტეს ხუთი წლის გეგმა 15 ივნისისათვის შეასრულონ.

ჩაის პლანტაციებში დროულად ჩატარდა კულტივაცია, მინერალური სასუქების შეტანა. დასასრულს უახლოდება ჩაის ბუჩქების გასხვლა.

სურათებზე: ზემოთ — მეურნეობის უფროსი მექანიზატორი რ. შარია (მარჯვნივ) და აგრეგანყოფილების მმართველი ა. ჯობავა ამოწმებენ გასხვლის ხარისხს: ქვემოთ — ჩაის ბუჩქების გასხვლა.

ნ. ჭუხრნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთი მილიონი მანეთით

გაადიდეს აღრე ნაკისრი ვალდებულება თბილისის ოქტომბრის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა

თბილისი. დედაქალაქის ოქტომბრის სახელობის რაიონის მრეწველობამ სოციალისტური მეჯიბრებებით დაამთავრა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ორი თვე. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 995 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

— ამ წარმატებებს ჩვენმა კოლექტივებმა თავდადებული შრომით, შინაგანი რეზერვების სრული გამოყენებით პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით მიაღწიეს, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ანიროვმა,— შრომითმა ენთუზიაზმმა კიდევ უფრო იმატა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ, როცა რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები შეუდგნენ ახალ-ახალი რეზერვების ძიებას დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის, რათა თავისი წვლილი შეიტანონ იმ დიდი ვალდებულების შესრულებაში, რომელიც ახლახან საქართველოს მშრომელებმა იკისრეს.

თავიანთ შესაძლებლობებს რომ გადახედეს, კოლექტივებმა გადაწყვიტეს უკლებლივ ყველამ, როგორც ერთმა, უთუოდ გაანადგურონ წლიური დავალება სამი პროცენტის გადაჭარბებით, რომ სამშობლოს მივცეთ 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — ადრე ნაკისრ ვალდებულებაზე ერთი მილიონი მანეთით მეტი.

მაღალი პატრიოტული შეგნებით გამოეხმაურნენ ბათუმელთა ინიციატივას ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავები, რომლებმაც 800 ათასი მანეთის პროდუქციის ნიტლად გადაწყვიტეს გამოუშვან 1 მილიონ 100 ათასი მანეთის ნაწარმი: 90 ათასი მანეთით გაადიდა თავისი ვალდებულება ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, 65 ათასი მანეთით — 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხანამ.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები აფართოებენ შეჯიბრებას დევიზით: გამოუშვიან მეტი, მაღალი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

ორგანიზებულად — კომუნისტურ შაბათოობაზე

19 აპრილს კომუნისტური შაბათოობაა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ინიციატივის შესახებ, რომლებმაც გადაწყვიტეს ამ წლის 19 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 105 წლისთავის აღსანიშნავად. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე კოლექტივების თაოსნობას და გადაწყვიტეს კომუნისტური შაბათობა აღნიშნონ დამკვრელური მაღალნაყოფიერი მუშაობით, გამომუშავებული სახსრები კი გადასცენ მეცხრე ხუთწლედის ფონდში.

მიტინგებზე, აქტივთა კრებებზე, საწარმოო თათბირებზე მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს, რათა უკეთ მოაწყონ შრომა შაბათობის დღეს.

თბილისის ყვმოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ შეიქმნა შაბათობის მომწყობი შტაბი, რომელმაც უკვე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი. ამ დღისათვის. შრომის დღესასწაულზე აქ 2500 კაცი გამოვა. ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს გამოუშვან 60.000 მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, დახოგილი ნედლეულით კი — ერთი ტონა ნართი. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება ორი ათას მანეთზე მეტი.

ქასპის ელექტროაპარატების ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შაბათობის დღეს დამზადოს 40.000 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს ათასი მანეთი.

სოხუმელმა მეფეხსაცმელეებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობის დღეს გამოუშვან 27.000 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ 1,8 ათასი მანეთი.

კომუნისტური შაბათობის დღისათვის მაღალი მიჯნები განსაზღვრეს თბილისელმა ელმავალმშენებლებმა, ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა, გორელმა ფეიქრებმა და სხვ.

საქართველოს პროფსაბჭომ დაავალა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად დროზე უნდა განსაზღვრონ შაბათობის მონაწილეთა ობიექტები, სამუშაოთა ფრონტი და დავალებანი, უზრუნველყონ ისინი ყოველივე აუცილებელით ამ დღის მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

შაბათობის მოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოში შექმნილია სპეციალური შტაბი (ხელმძღვანელი — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია). (საქინფორმი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კოლხეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ცხაკაიას რაიონული გაზეთი „კოლხეთი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოჩლინაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 12 მარტს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურჰო კალევა კეკონენი.

ფინეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე უ. კ. კეკონენს დახვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. კ. ცვიგუნი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში იაკო ჰალამა. (საკდესი).

საბჭოთა ხელმძღვანელების საუბარი უ. კეკონენთან

12 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კალევა კეკონენს, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფეროში ჩაიარა, გაიმართა აზრთა კონსტრუქციული გაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის ფართო წრის საკითხებსა და აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

იმავე დღეს საბჭოთა ხელმძღვანელებმა კრემლში საუზმე გაიმართეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კალევა კეკონენს. საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

(საკდესი).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ვერნერ ლამბერცთან.

საუბარს, რომელმაც გულთბილ ამბიანაურ ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბ. სირაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ვ. ბედნინაშვილი. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისათვის გამოყოფილი პრემიების რაოდენობა. გადაწყდა ხუთი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, ოთხი ლენინური და ოცდაერთი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

ინტერნაციონალი

ინტერნაციონალი

დამკვრელური შრომით

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

მ ა რ ტ ი

ხუთწლედის 1975 დავალთავრებელი

ხარის ხი მუშაობის სტილი

ხუთწლედი ერთ-ერთ უმჯობესად!

პიბლიოთეკა

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: რესპუბლიკის მშრომელთა წლევანდელი სოციალისტური ვალდებულებები მეტად დაძაბულია, მაგრამ ზღვარი არ არის. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ახლა ის არის, რომ-კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, დარაზმონ მშრომელები უფრო მაღალი მიჯნების მისაღწევად.

თბილისის „ელექტროიზოლიტის“ ქარხნის კოლექტივმა გათუთელთა მაგალითისამებრ გადახედა ვალდებულებებს და გადაწყვიტა თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელთა დიდი ვალდებულების შესრულების საქმეში და აღრე ნაკისრი 200 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვას 500 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მორიგებაც, სტიმულიც

საერთო პროდუქციის 21,3 პროცენტი „ხარისხის ნიშნით“ მზადდება „თბილელექტროიზოლიტის“ ქარხანაში

თანამედროვე პირობებში, როცა წყდება ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის და მართვის სისტემის სრულყოფის ახალი და რთული პრობლემები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და წარმოების ეფექტურობის მკვეთრ გაზრდას. ყველაფერი ეს კი უნდა ხდებოდეს ახლის, მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვის ხარჯზე, კოლექტივის საერთო საქმიანობაში მშრომელთა კიდევ უფრო ფართო ჩაბმით, ბათი გამოცდილების, ცოდნის, გამომგონებლობის და ინიციატივის უფრო სრულად გამოყენების გზით.

„თბილელექტროიზოლიტის“ ქარხანამ, რომელიც ელექტროსაიზოლაციო მასალებით ამარაგებს საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის 800-მდე საწარმოს, ცუდი მაჩვენებლებით როდი დაამთავრა შარშანდელი სამეურნეო წელიწადი. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 16 დეკემბრისათვის შესრულდა, ხოლო სახაქონლო პროდუქციის გამოშვებისა 23 დეკემბრისათვის. 1973 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 11,8 პროცენტით, გეგმა კი 8,2 პროცენტით ზრდას ითვალისწინებდა.

ქარხანამ 1974 წელს ოთხი ახალი სახის პროდუქცია ითვისა, რომელთაგან ორმა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. საერთოდ კი იმ 15 სახის ნაწარმიდან, რომელსაც ქარხანა ახლა უშვებს, 7 სახის პროდუქციას შარშან სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა ხარისხის ნიშანი მიაკუთვნა. ამშამად ქარხანის მიერ გამოშვებული პროდუქციის 21,3 პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდის.

გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა ორგანიზაციულ-ტექნიკურმა ღონისძიებებმა, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან წლის დასაწყისში დავამუშავეთ და მათი შესრულება მკაცრ კონტროლზე გვყავდა აყვანილი. ვცდილობთ რაციონალურად გამოვიყენოთ მატერიალური და მორალური სტიმულები, დაწესებული გვაქვს პრემია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის 25 პროცენტის რაოდენობით, გარდა ამისა ოთხი სახის ახალ პროდუქციას, რომლებიც ავითვისეთ და ხარისხის ნიშანი აქვს, ფასების სახელმწიფო კომიტეტმა ფასი წაუმატა, ეს დანამატი კი გათვალისწინებულია გაიცეს პრემიის სახით იმ მუშა-მოსამსახურეთა შორის, ვინც ამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ეფექტურად მონაწილეობდა.

ამ დღეებში მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა 600 ათასი მანეთით გაზარდა თავისი ვალდებულება. წელს ფეიქრები 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებენ.

ლენინ, საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილი გემოვნებისა და მოთხოვნილების პირობებში საფეიქრო სამრეწველო საწარმოს კოლექტივს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ახალი სტრუქტურისა და შემადგენლობის ნაკეთობათა შექმნა და დანერგვა. იმ საწარმოში, სადაც ეს კარგად ესმის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, ადმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, წარმატება უთუოდ უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ასეთ საწარმოთა რიგებს უკანასკნელი წლების მუშაობით ეკუთვნის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ (დირექტორი რ. კუპრავა). წლების განმავლობაში ასორტიმენტის განახლება აშიო თვითდინებამ, პროდუქციის რაოდენობრივად ზრდის გამოდვენებამ, ხარისხის მკვეთრად დაქვეითებამ მოითხოვა მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა. 1974 წლის დასაწყისამდე ძირითადად გამოდიოდა უსახური, სამომხმარებლო ღირებულებას მოკლებული პროდუქცია.

კომბინატის ახალი ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო არა მარტო ცალკეულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, არამედ ასორტიმენტის განახლებისა და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების საქმისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა. მოთხოვნილებასა და გასაღებას მიენიჭა განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ამას კი მოჰყვა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებანი. დესანტორთა მცირე ჯგუფის ნაცვლად კომბინატში შეიქმნა სამხატვრო სახელოსნო, ე. წ. ასორტიმენტის განყოფილება.

ასორტიმენტის განახლებისათვის მოკლე დროში შესაძლებელი გახდა შემუშავებულიყო 40 ახალი ქსოვილის ნიმუში, რომელთა შორის საუკეთესოები დაინერგა მასობრივი წარმოებისათვის. დღეისათვის წარმოებიდან ამოღებულია ძველი ნიმუშის თითქმის ყველა ქსოვილი და საქსოვი წარმოება უშვებს მხოლოდ ახალ პროდუქციას. მომხმარებელთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მამაკაცის ხაკოსტუმე, საპალტო, ქალის საკაბე და საავეჯო ქსოვილები. ახლა აქ ადარ შიშობენ, ქსოვილები აღარ „ჩაწვება“ საწყობში.

შარშან კომბინატის კოლექტივი მონაწილეობდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ორწლეულსა და თბილისში გამოცხადებულ ხარისხის დათვალიერება-ლაშქრობის ექვსთვიურში. კომბინატში შეიქმნა ხარისხის კომისია, რომელსაც სათავეში დირექტორი ჩაუდგა. ასევთვე კომისიები შექმნეს აგრეთვე ცალკეულ წარმოებებში. კომბინატის მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, სადისკუსიო-ჩერო ყოველკვირეული თათბირის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ხარისხის არსებული მდგომარეობა გახდა. აქ ოპერატიულად ისახება ღონისძიებები შემჩნეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გაუმჯობესებულია ხელმძღვანელობა ტექნიკური კონტროლის სამსახურისადმი, გადაისინჯა ტექნოლოგიური რეჟიმები ისეთ დანადგარებზე, სადაც ძირითადად წყდება ხარისხის გაუმჯობესების ბედი.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში კომბინატში გადამწყვეტია. შექმნილია ყველა საჭირო პირობა საუკეთესო ქსოვილების გამოშვებისათვის, მაგრამ, ცხადია, ამ მხრივ კოლექტივს კვლავაც დიდი მუშაობა მართებს. წლის პირველი დეკემბიდანვე კოლექტივი მობილიზებულია სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, რომლებთანაც გათვალისწინებულია მსა შალის ქსოვილების ხარისხის გაზრდა 0,2 პროცენტით. დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლით დამთავრდა წლის პირველი ორი თვე. გამოშვებული პროდუქციის 85,99 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 85,49 პროცენტისა, მატება შეადგენს 0,5 პროცენტს, რაც უთუოდ კარგი შედეგია, მაგრამ ზღვარი არ არის. ეს კარგად იციან კომბინატის ფეიქრებმა და ამიტომაც ეძებენ ახალ გზებსა და რეზერვებს პროდუქციის ხარისხის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

გ. სოლოდაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მრავალტრაჟიანი გაზეთის „თბილისელი ფეიქრის“ რედაქტორი.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებული ჩარხები მოწონებით სარგებლობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც, ისინი საუკეთესო ხარისხისაა. მართალია, კიროველთა არც ერთი სახის პროდუქციას დღემდე არა აქვს მიღებული ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, მაგრამ წლეულს ამ უმაღლეს შეფასებას უთუოდ დაიმსახურებს ახალი გამის მილსაჭრელი ჩარხი „31-ა-11“, რომელსაც ხარისხის ნიშანზე წარსადგენად ამზადებენ. სურათზე: საამქროში აწყობენ ამ ახალი ტიპის ჩარხებს.

ს. კილაძის ფოტო.

„პირადი დამღა“ — ყველას

ცხინვალი. (საკ. კორ.). ცხინვალის ქარხანა „ემალსადენი“ ჩვენი რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშოა. საწარმოს პროდუქციაზე — სხვადასხვა კვეთის მიმანაჭრებულ სადენებზე დიდი მოთხოვნილებაა ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებში, განსაკუთრებით რადიო და ტელე საწარმოებში.

წლების მანძილზე „ემალსადენი“ ვერ ასრულებდა საწარმოო პროგრამას, დაბალი იყო პროდუქციის ხარისხიც. ბოლო ხანს ქარხნის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოს კოლექტივმა ფართო ბრძოლა გააჩაღეს გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. საწარმოში შემოიღეს „ხარისხის დღე“, რომელიც კვირაში ერთხელ ეწყობა და მასში მონაწილეობს ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურე, ვისაც კი ეს საკითხი ეხება. „ხარისხის დღე“ განსაკუთრებით მაღალი აქტივობით ტარდება თვიური სამუშაოების შეჯამებისას. ამ დღეს მსჯელობაზე იწვევენ იმ მუშებს, რომლებმაც თავიანთი გულგრილობით, უპასუხისმგებლობით დაუშვეს წუნი. გაძლიერდა ხარისხის კონტროლი თვითეულ სამქროში, ცვლაში, ბრიგადაში. იმართება მსჯელობა პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, საწარმოო თათბირებზე. მკაცრად სჯიან ყველას, ვინც წუნისმკეთებელია.

ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. თითქმის 50-60 პროცენტით შემცირდა „ბრაკამაციები. ხშირად მოდის მომხმარებელთა ქების წერილები. ქარხანაში ფართოდ იყენებენ წახალისების პრინციპს, პროდუქციის უდეფექტოდ ჩაბარების სისტემა, რაც ქარხანამ 1974 წელს შემოიღო, საშუალებას იძლევა ფართოდ გამოიყენონ მატერიალური წახალისების პრინციპი. გაცემული პრემია ზოგჯერ 10-15 პროცენტს შეადგენს.

ცხინვალელები ფართოდ სარგებლობენ სარატველთა გამოცდილებით. პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი სერიოზული სტიმულია მუშებზე „პირადი დამღის“ გადაცემა. ამ წოდების მინიჭება ხდება უკიდურესი სიმკაცრით. „პირადი დამღა“ უკვე მოიპოვა ქარხნის 25 წარჩინებულმა მუშამ. ასეთებია ლერი მამიტოვი, გოგუცა დუდაევა, ალეესი ბითიევი და სხვები.

მიუხედავად ამისა, ხარისხისათვის ბრძოლა ქარხანა „ემალსადენში“ კვლავ პირველი რიგის ამოცანად რჩება. ბევრ საამქროში ტექნიკური მოწყობილობა მძიმეულდა და შეცვლას მოითხოვს. ძველი ტექნიკა მაღალი ხარისხის პროდუქციას ვერ მოგვცემს. ხშირად დაბალი ხარისხისაა სხვა ქარხნებიდან მიღებული მასალები და ნედლეული, საჭირო ყურადღება არ ეთმობა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებასაც, ყოველივე ეს დიდ ამოცანებს უსახავს ქარხნის დირექციას და პარტორგანიზაციას.

სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო ფართოვდება ქარხანაში, და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაკლოვანებანი გამოსწორდება.
